საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №805
2022 წლის 1 თებერვალი

ქ. თბილისი

იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც 2022 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 2^2 პუნქტისა და მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა (დანართი №1), სადაც 2022 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის.
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ უზრუნველყონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება იმ დასახლებებში (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებებში), სადაც სანოტარო მომსახურება 2022 წელს სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, ამ ბრძანებით დამტკიცებული ნუსხით გათვალისწინებული ოდენობის ნოტარიუსთა დასანიშნად.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე**

დანართი №1

იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა, სადაც 2022 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის

№	დასახლება	2022 წელს დასანიშნ ნოტარიუსთა რაოდენობა	შენიშვნა
1	ქალაქი ქარელი	1	
2	დაბა ბაკურიანი	1	მაღალმთიანი დასახლება
3	ქალაქი ახალქალაქი	1	მაღალმთიანი დასახლება
4	ქალაქი რუსთავი	1	
5	ქალაქი ბათუმი[1]	2	

[1] **შენიშვნა:** ქალაქ ბათუმში 2022 წელს დასანიშნი ნოტარიუსების რაოდენობიდან ერთი ერთეული განკუთვნილია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 29 აგვისტოს №29 დადგენილებით გათვალისწინებული ბათუმის სამრეწველო ადმინისტრაციული ერთეულისათვის.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 2 ივნისის ბრძანება №835 - ვებგვერდი, 02.06.2022 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 7 ნოემბრის ბრძანება №873 - ვებგვერდი, 07.11.2022 წ.